სამედიცინო მოწყობილობის გამოყენების ინსტრუქცია
ცხვირის ღრუს საირიგაციო და გამოსარეცხი საშუალებები
ბავშვებსა და მოზარდებიში
"აქვალორი® ექსტრა **ფორტე ალოე ვერა და რომაული გვირილით"** 150 მლ,
ТУ 32.50.50-011-00480081-2017 მიხედვით
სს "ნიჟფარმი", რუსეთის წარმოებული

1. სამედიცინო მოწყობილობის დასახელება
2. ძირითადი მახასიათებლები
3. დანიშნულება
4. გამოყენების სფერო
5. გამოყენების ჩვენებები
6. უკუჩვენებები
7. გვერდითი მოვლენები
8. სიფრთხილის ზომები
9. გაწმენდის მეთოდები და საშუალებები
10. გამოყენების წესი
11. ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების პირობები
12. უტილიზაცის პროცედურა
13. მწარმოებელი/წარმოების ადგილი
14. პრეტენზიების მიმღები ორგანიზაცია
15. საგარანტიო ვალდებულებები

1. სამედიცინო მოწყობილობის დასახელება

ცხვირის ღრუს საირიგაციო და გამოსარეცხი საშუალებები ბავშვებისა და მოზრდილებისთვის "აქვალორი® ექსტრა ფორტე ალოე ვერა და რომაული გვირილით" 150 მლ, ТУ 32.50.50-011-00480081-2017 მიხედვით.

პრეპარატის დასახელება	**აღწერილობა**
პროდუქტის მოწყობილობის აღწერა	ცხვირის ღრუს საირიგაციო და გამოსარეცხი საშუალებები ბავშვებისა და მოზრდილებისთვის "აქვალორი® ექსტრა ფორტე ალოე ვერა და რომაული გვირილით" 150 მლ, ТУ 32.50.50-011-00480081-2017 მიხედვით, (შემდგომში-საშუალება) არის აეროზოლი წნევით დატუმბული - ალუმინის ბალონში, პოლიეთილენის ანატომიური საქშენით ცხვირისთვის, რომელიც წარმოქმნის „შხაპს“, შემზღუდველი რგოლით და პოლიპროპილენის თავსახურით. ან - ალუმინის ბალონში, პოლიეთილენის მბრუნავი ანატომიური საქშენით ცხვირისთვის, რომელიც წარმოქმნის „ნაკადს“, შემზღუდველი რგოლით და პოლიპროპილენის თავსახურით.

	ბალონის შიგნით მოთავსებულია ოთხფენიანი პაკეტი შიგთავსით, რომელიც აღჭურვილია სპეციალური ცალმხრივი სარქველით. საქშენს აქვს ჩამკეტი აეროზოლის სარქველზე წნევის გასაკონტროლებლად. ეს არ არის სამკურნალო პროდუქტი.
ავსების მოცულობა	150მლ
მოწყობილობის შიგთავსის აღწერა	გამჭვირვალე, უფერო ან ოდნავ მოყვითალო სითხე, მსუბუქი მცენარეული სუნით.
შიგთავსის შემადგენლობა	ზღვის წყლის პიერტონული ხსნარი (NaCl კონცენტრაცია 19-23 გ/ლ), რომელიც შეიცავს ნატურალურ ზღვის წყალს, ალოე ვერას ექსტრაქტს (0,025% ხსნარი), რომაული გვირილის ექსტრაქტს (0,025% ხსნარი), გასუფთავებულ წყალს. ზღვის წყლის აღება ხდება ეკოლოგიურად სუფთა ტერიტორიებიდან ბრეტანის (საფრანგეთი), ლისეკილის (შვედეთი) სანაპიროზე. ზღვის წყალი შეიცავს ნატრიუმის, კალიუმის, თუთიის, სელენის, მაგნიუმის, კალციუმის, იოდის, ქლორის, ბრომის იონებს. pH 5,3 – 8,3 არ შეიცავს კონსერვანტებს.
ტექნიკური მახასიათეელები	შესხურების მახასიათებელი - „შხაპი“ ან „შხაპი/ნაკადი“
შეფუთვა	წნევით დატუმბული ალუმინის ბალონი, აღჭურვილი პოლიეთილენის ანატომიური საქშენით ცხვირისთვის და პოლიპროპილენის თავსახურით, მოთავსებულია მუყაოს კოლოფში სამედიცინო მოწყობილობის გამოყენების ინსტრუქციასთან ერთად ან წნევით დატუმბული ალუმინის ბალონი, აღჭურვილი პოლიეთილენის მბრუნავი ანატომიური საქშენით ცხვირისთვის და პოლიპროპილენის თავსახურით, მოთავსებულია მუყაოს კოლოფში სამედიცინო მოწყობილობის გამოყენების ინსტრუქციასთან ერთად

3. დანიშნულება

მოწყობილობა შექმნილია ლორწოს მოსაშორებლად, სეკრეციის შესამცირებლად, ქერქის დასარბილებლად და მოსაშორებლად, ცხვირის ლორწოვანი გარსის დასატენიანებლად. მას აქვს სასარგებლო გავლენა ცხვირის ღრუსა და ნაზოფარინქსის ლორწოვან გარსზე, ხელს უწყობს ცხვირის შეშუპების შემცირებას და ცხვირით სუნთქვის აღდგენას. ზღვის წყლის ჰიპერტონული ხსნარი ამცირებს ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის შეშუპებას უჯრედშორისი სივრციდან ჭარბი სითხის მოცილების გზით ოსმოსური წნევის სხვაობის ხარჯზე. ალოე ვერას და რომაული გვირილის ექსტრაქტებს აქვთ ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური და აღმდგენი თვისებები. ზღვის წყალში შემავალი მარილები ხელს უწყობენ ლორწოს გათხელებას და მისი

წარმოების ნორმალიზებას ლორწოვანი გარსის გობლის უჯრედებში. მარილში შემავალი კალციუმის და მაგნიუმის იონები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ცხვირის ლორწოვანის მოციმციმე ეპითელიუმის უჯრედების მუშაობას, ახდენს ლორწოს რეოლოგიური თვისებების ნორმალიზებას და ზრდის რეზისტენტობას ვირუსებისა და ბაქტერიების შეჭრის მიმართ. იოდს და ნატრიუმის ქლორიდს გააჩნია ანტისეპტიკური თვისებები. თუთია და სელენის იონები ქმნიან პირობებს ცხვირის ლორწოვანისა და პარანასალური სინუსების ადგილობრივი იმუნიტეტის გასააქტიურებლად.
ცხვირის ღრუს ამ საშუალებით დაბანის შემდეგ იზრდება ცხვირის ღრუს ლორწოვანზე დატანილი წამლების თერაპიული ეფექტურობა, მცირდება რესპირატორული დაავადებების ხანგრძლივობა და მცირდება ინფექციის გავრცელების რისკი პარანასალურ სინუსებსა და ყურის ღრუში. ხელს უწყობს ნებისმიერი პათოგენის (ვირუსული, ბაქტერიული, სოკოვანი) მოცილებას ცხვირის ღრუსა და ნაზოფარინქსის ლორწოვანი გარსიდან ლორწოვანი გარსის ბიოცენოზის დარღვევის გარეშე.
პროდუქტი განკუთვნილია ინდივიდუალური გამოყენებისთვის სახლში და სამედიცინო დაწესებულებებში.

4. გამოყენების სფერო
გამოყენების სფერო - ოტორინოლარინგოლოგია. პროდუქტი განკუთვნილია ბავშვებში 2 წლიდან და მოზრდილებში ЛОР-დაავადებების პროფილაქტიკისა და კომპლექსური მკურნალობისთვის ცხვირის ღრუს ირიგაციისა და გამორეცხვის გზით

5. გამოყენების ჩვენებები
პროდუქტი გამოიყენება:
• ცხვირის ღრუს, პარანასალური სინუსების და ნაზოფარინქსის მწვავე და ქრონიკული ანთებითი დაავადებების (ინფექციური, ალერგიული, ატროფიული) პროფილაქტიკა და კომპლექსური მკურნალობა:
- მწვავე და ქრონიკული რინიტი (გამონადენი ცხვირიდან);
- მწვავე და ქრონიკული სინუსიტი (მათ შორის ჰაიმორიტი);
- მწვავე და ქრონიკული ადენოიდები;
- ალერგიული და ვაზომოტორული რინიტი;
* რესპირატორული ინფექციების (გრიპი, SARS და სხვ.) პროფილაქტიკა და კომპლექსური მკურნალობა;
* პროფილაქტიკა და კომპლექსური მკურნალობა ცხვირის ღრუსა და პარანასალური სინუსების ქირურგიული ჩარევის შემდეგ;
პროდუქტი განკუთვნილია ბავშვებისთვის 2 წლიდან და მოზრდილებისთვის.

6. უკუჩვენებები
ინდივიდუალური აუტანლობა სამედიცინო მოწყობილობის კომპონენტების მიმართ.

განსაკუთრებული მითითებები:
ორსულობა და ლაქტაცია არ წარმოადგენს უკუჩვენებას.

7. გვერდითი მოვლენები
არ არის გამოვლენილი

8. სიფრთხილის ზომები
გამოყენებამდე შეამოწმეთ პროდუქტი და შეფუთვა. არ გამოიყენოთ სამედიცინო მოწყობილობა, თუ შეფუთვის მთლიანობა დაირღვა და/ან თუ არსებობს თავად მოწყობილობის დაზიანების ნიშნები. პროდუქტის პირველ გამოყენებამდე საქშენის ხიდაკი ხელუხლებელი უნდა იყოს. საქშენის პირველად დაჭერისას ხიდაკის მთლიანობა ირღვევა (ამას მოწმობს დაწკაპუნება, რომელიც ადასტურებს სამედიცინო პროდუქტის მუშაობისთვის მზადყოფნას).
თავად პროდუქტის სრულყოფილი ხარისხისა და დოზირების სისტემის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, არ დაშალოთ სამედიცინო მოწყობილობა (მაგალითად, არ მოხსნათ ანატომიური საქშენი ბალონიდა).

9. გაწმენდის მეთოდები და საშუალებები
მოწყობილობის ყოველი გამოყენების შემდეგ გარეცხეთ ანატომიური საქშენი თბილი წყლით და საპნით და შემდეგ გამოავლეთ წყლით.

10. გამოყენების წესი
ცხვირის ღრუს გამორეცხვა ტარდება საჭიროებისამებრ, საშუალოდ 3-4-ჯერ დღეში, საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად.
მნიშვნელოვანია! პროცედურის დროს, პიროვნებამ, ვისაც უტარებენ გამორეცხვას, არ უნდა ჩაისუნთქოს, არ უნდა ისაუბროს ან იყვიროს.

თუ იყენებთ პროდუქტს მბრუნავი საქშენით, აირჩიეთ სასურველი ტიპის გაფრქვევა „შხაპი“ ან „ნაკადი“ ექიმის რეკომენდაციების მიხედვით ან სიმპტომების სიმძიმის, გამონადენის ხასიათისა და ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით. „შხაპის“ ვარიანტის ასარჩევად, თქვენ უნდა მოაბრუნოთ საქშენის ღერძული მბრუნავი ნაწილი საათის ისრის მიმართულებით ან საათის ისრის საწინააღმდეგოდ ისე, რომ საქშენის ფიქსირებულ ნაწილზე ისარი ემთხვეოდეს მის მეორე ნაწილზე გაფრქვევის ტიპის „შხაპის“ გამოსახულებას. „ნაკადის“ ოფციის ასარჩევად, თქვენ უნდა მოაბრუნოთ საქშენის მბრუნავი ნაწილი საათის ისრის მიმართულებით ან საათის ისრის საწინააღმდეგოდ ისე, რომ საქშენის ფიქსირებულ ნაწილზე ისარი ემთხვეოდეს მის მბრუნავ ნაწილზე გაფრქვევის ტიპის „ნაკადის“ გამოსახულებას (ნახ. 1)

2 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისთვის და მოზრდილებისთვის.
ცხვირის გამორეცხვა ბავშვებსა და მოზრდილებში ტარდება სხეულის ვერტიკალურ მდგომარეობაში (მჯდომარე ან მდგომარე). ამასთანავე, თავი უნდა იყოს სწორ მდგომარეობაში და ოდნავ წინ გადახრილი. თვალ-ყური ადევნეთ, რომ გამორეცხვისას თავი უკან არ გადააგდოს (სურ. 2).
1. ბალონის წვერი მოათავსეთ ცხვირის მარჯვენა ნახევარში (სურ. 3).
2. დააჭირეთ გამომრფქვეველს და გააჩერეთ რამდენიმე წამი, ამ გზით გამოიბანება ცხვირის მარჯვენა ნახევარი (სურ. 4).
3. ნარეცხი სითხის ნარჩენები გამოიღეთ ცხვირის ღრუდან ცხვირის გამოფერთხვის გზით ან ასპირატორის გამოყენებით (აუცილებლობის შემთხვევაში ბავშვებში) (სურ. 5).
4. ანალოგიური პროცედურა ჩაატარეთ ცხვირის მარცხენა ნახევრიში.
5. საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ პროცედურა.

11. ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების პირობები

ვარგისიანობის ვადა - 3 წელი. ვარგისიანობის ვადა მითითებულია ბალონის ბოლოში.
შეინახეთ და გამოიყენეთ +5^{0}C-დან +25^{0}C-მდე ტემპერატურაზე. მოარიდეთ ბავშვებს. შეინახეთ სითბოსგან მოშორებულ ადგილას.
პ როდუქტის ტრანსპორტირება ხდება ნებისმიერი ტიპის სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტით ამ ტიპის ტრანსპორტისთვის მოქმედი ტვირთის წესების შესაბამისად +5^{0}C-დან +25^{0}C-მდე ტემპერატურაზე.

12. უტილიზაციის პროცედურა

პროდუქტი მიეკუთვნება სამედიცინო ნარჩენების კლასიფიკაციის A კლასს СанПиН 2.1.3684-21. სანიტარული და ეპიდემიოლოგიური წესებისა და რეგულაციების შესაბამისად. A კლასის ნარჩენების მონიტორინგის აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ნარჩენების შეგროვებას უზრუნველყოფს დისტრიბუტორი (საკონტრაქტო მომსახურე ორგანიზაციები ან საკონტრაქტო მომსახურების ტექნიკოსები).

13. მწარმოებელი/წარმოების ადგილი:

სს „ნიჟფარმი“, რუსეთი
603105, ნიჟნი ნოვგოროდი, ქ. საგლანსკაია, #7
ტელ: +7 (831) 278-80-88; ფაქსი: + 7 (831) 430-72-28
ელ.ფოსტა: med@stada.ru

14. პრეტენზიების მიმღები ორგანიზაცია

სს „ნიჟფარმი“, რუსეთი
603105, ნიჟნი ნოვგოროდი, ქ. საგლანსკაია, #7
ტელ: +7 (831) 278-80-88; ფაქსი: + 7 (831) 430-72-28
ელ.ფოსტა: med@stada.ru

15. საგარანტიო ვალდებულებები

მწარმოებელი იძლევა გარანტიას პროდუქტის ხარისხზე, შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობების დაცვის გათვალისწინებით, შენახვის ვადის განმავლობაში.
www. aqualor.ru